საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

03/04/2023
N 09-02-16/189

189-09-02-16-2-202304031439

ქალაქ ბათუმის მერს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

სადეპუტატო კითხვა

ბატონო არჩილ,

საქართველოს კონსტიტუციის მე -15 მუხლის პირველი პუნქტისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მაცნობოთ,

-რის საფუძველზე დაირეგისტრირეთ ზურაბ გორგილაძის N49 -სა და შპს „პსპ ფარმას“ სამეზობლო საზღვრის მიჯნაზე, კაპიტალური ღობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.23.16.041) ? და შემდგომ უპირობო, აუქციონის წესით საკუთრებაში გადაეცით ვინმე ნუგზარ მოსეშვილს რითაც, ამ ორ კონფლიქტურ ეზოს შორის, გააღრმავეთ დაძაბულობა?

-ვინ არის ამ საკითხის ინიციატორი თქვენთან? „ვინ აღმოაჩინა“, რომ საზიარო ღობის ქვეშ მიწა იყო თავისუფალი? ვინ გახლავთ ის პირი რომელიც პირადობის ნომრით (6100101831) ჩანს როგორც საკადასტრო აგეგმვითი აზომვითი ნახაზის შემკვეთი?

- სამართლის რომელი ნომრით იხელმძღვანელეთ მიწის-6 და 56 კვ. მეტრი ნაკვეთების დარეგისტრირებისას, თუ კი სიგრძეზე, 6 კვ მეტრი კედელი იყო სასაზღვრო ნაგებობა, ექვემდებარებოდა სამეზობლო ერთობლივ სარგებლობას, თავის მხრივ, ამხანაგობა დაინტერესებული იყო ამ ნაგებობის არსებობით რის გამოც დაუშვებელი იყო მისი აღება, ან შეცვლა მათ გარეშე? |(სამოქალაქო კოდექსის 182 მუხლი)

-ცნობილია თუ არა თქვენთვის , რომ ნაკვეთის გაყიდვის შემდეგ იყო უცხო პირთა მცდელობა, ამ სასაზღვრო მიჯნის დანგრევაზე , რომლის გარკვეული ნაწილის გადარჩენა ამხანაგობამ შეძლო და ამ დრომდე დგას?

-რატომ არ აცოდინეთ ეს ამხანაგობის იმ წევრებს , რომელთა უმრავლესობა სოციალურად დაუცველი და ჯანმრთელობა შერყეული ადამიანები არიან და როგორ ფიქრობთ, ამ მაგალითზე ქვია თუ არა ამას ვითარების ფლობა და შესაბამისად ქალაქის მართვა?

-ხომ არა გაქვთ ვარაუდი, რომ ამ კადასტრზე პირადობის მოწმობით რამდენიმე დმანისელმა მოიყარა თავი და მაღალი ალბათობით მიმდინარეობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესი რაზედაც სამართლებრივი შეფასებისათვის წერილი საამისოდ უფლება მოსილი ორგანოებისთვის მზად მაქვს, ამასთან ხომ არ ფიქრობთ რომ ვიმედრომ „შპს ფარმას“ მიერ განხორციელებულ ამ საეჭვო პროცესებში, თქვენი დაინტერესება და მხარდაჭერა არ “ამოტივტივდება“

მედეა ვასაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები